№ 25 1 თებერვალი, ხუთშაბათი 1866—1879 1 თებერვალი, ხუთშაბათი № 25

**რედაქცია**: სოლოლაკზე ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი**: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., [illegible] ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი**, 30 იანვარს. სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ახალი პირობა რუსეთსა და ოსმალეთს შუა თორმეტის მუხლისაგან შესდგება. კონტრიბუციის (სამხედრო ხარჯის) ფული ოსმალეთმა 300 მილიონი მანეთი (ქაღალდის ფულით) უნდა გადაუხადოს რუსეთს. ამ პირობაზე ხელისმოწერის შემდეგ რუსეთმა 40 დღის განმავალობაში უნდა გაიყვანოს თავის ჯარები ოსმალეთიდამ.

**ლონდონი**, 31 იანვარს. კეთილი იმედის მიწიდგან იწერებიან, რომ ინგლისის ჯარები, რომელსაც შეადგენდა ერთი პოლკის ნაწილი, 600 ადგილობრივი სალდათი და ერთი ბატარეია (რვა ზარბაზანი), საშინლად დაამარცხეს ზულუსის ტომის 20 ათას ჯარმა.

ზულუსებმა წაართვეს ინგლისელებს 120 ურემი სხვა და სხვა მასალებით დატვირთული, 2 ზარბაზანი, 1000 თოფი, 250 პური და სხვა უანგარიშო სურსათი და ერთი ბაირაღი; ზულუსები 5,000 კაცია მოკლული. ინგლისის ჯარი თითქმის სულ ამოწყვეტილია; იმათის მხრით 500 სალდათი და 60 აფიცერია მოკლული. მაპის მაზრის ღენერალ-ღუბერნატორმა ჯარები მოითხოვა ინგლისიდამ.

**პეტერბურღი**, 30 იანვარს. გრაფი ლორის-მელიქოვი 28 იანვარს მივიდა ცარიცინში და დაიწყო თავის თანამდებობის აღსრულება; ის არის დანიშნული ასტრახანის, ხარატოვისა და სამარის გუბერნიების დროებით ღენერალ-ღუბერნატორად.

**ცარიცინი**, 29 იანვარს. გრაფი ლორის-მელიქოვი ათ დღეს დაჰყოფს ცარიცინში და შემდეგ ასტრახანში წავა. ის აპირებს მდ. ვოლგის კარანტინით შეკვრას. ასტრახანის ბირჟის კომიტეტიდამ დეპეშა მოვიდა; იწერებიან, რამდენიმე დღე გადისო, რაც მთელს გუბერნიაში ერთი კაცი აღარ გამხდარა ჟამით ავათაო. ერთი ავათმყოფი იყო სოფ. სელიტრენში და ისიც მორჩაო.

**ვენა**, 29 იანვარს. „პოლიტიკურს კორესპონდენციაში მოყვანილია კიდევ შემდეგი მუხლები რუსი ოსმალოს მორიგების პირობისა: იმ რუსების სასარგებლოდ, რომელთაც ოსმალეთში იზარალეს რომ, რუსეთმა $26^1/_2$ მილიონი ფრანკი უნდა მიიღოს. იმ მაზრების მცხოვრებთ, რომელნიც რუსეთს დარჩა უფლება აქვთ სამი წლის განმავალობაში გაჰყიდონ თავის ქონება და გადასახლდნენ. ადრინდელ პირობებსა და ტრაქტატებს ექმნებათ თავის ძალა. რუმინია, სერბია, და ჩერნოგორია ცალკე პირობით მორიგდებიან ოსმალეთთან კონტრიბუციის თაობაზედ.

**პეტერბურღის ბირჟა**, 31 იანვარს.
(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| | | |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
| პირველი გამოცემის — | —95— | 75 |
| მეორე— — — — — | —94— | 75 |
| მესამესი — — — — | 94— | 87 |
| მეოთხესი — — — — | 94— | 87 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92— | 50 |
| აღმოსავლეთის მეორე— | 92— | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8— | 58 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— | „ |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. | კაპ. |
| პირველი სესხის — — | 232— | 85 |
| მეორე სესხის — — — | 233— | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 23— | „ | პენსი |
| ამსტერდამი— — | —116— | 25 | ცენტი |
| ბერლინი— — — | —195— | 25 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | —242— | „ | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი— | 2— | 10 | — |

## ფელეტონი

### არტაანიდამ ართვინამდინ

მგზავრის შენიშვნები

კარზე ცხენები მზათ არიან და მელიან წასასვლელათ.. არტაანს მივეცი უკანასკნელი სალამი, გამოვემშვიდობე ნაცნობ-მეგობრებს..

უკანასკნელი-„წადი!" რომ მითხრეს, მე ვიყავ ქალაქის გარეთ და მქონდა სამუდამოთ ზურგი მიქცეული არტაანზე; ვიყავ იმადგილას, სადაც ომში დახოცილების საერთო საფლავებია. ისინი რაღაც ნაღვლიანი საიდუმლო სახით იყურებოდნენ დაადგენდნენ იქაური მინდვრის მორთულობას.

ოხ, ღმერთო! რამდენი და რამდენი ძალა, რამდენი იმედი და ნუგეში, რამდენი მხურვალე ჯერ ნორჩი სიყვარული და სიხარული შთაუნთქავთ ამ საფლავებს!?

რამდენი გულია დაკოდილი, რამდენი ცრემლი იღვრება ამათთვის!.. მე და შენ, მკითხველო, რას გავიგებთ? სად შეგვიძლია გავიგოთ! აბა, ერთი ჩახედე ერთ ცხრამეთის იქით ღარიბ ქოხში. იქ დაინახავთ ახალგაზდა ქალს სამი პაწაწა ობლებით. ჩახედეთ იმ ახალგაზდის გულში, რა უწყალოდ ითუთქება? რანაირი მძიმე ოხვრა ამოდის იმ გულიდამ. აი ამ ოთხი არსების იმედი და ხელის მწყობი ამ საფლავებში ჰმარხია.

აგერ მუხრის თავზე ზის ბრმა მოხუცებული, თმა-თეთრა კაცი. იმისი საფლავამდე ერთგული ამხანაგი—მეუღლეც ძლივს ჯოხით დაგოგმანებს. სადღაც ყოფილა; ჩანთით მოაქვს უხვი ხელით მიცემული პურების ნანტვრევები—ვახშამი მოაქვს. იმათი ორი წლის შვილისშვილი გდია ტიტველა მიწაზე და ნაცარს ექცევა, ეს პატარა ობოლია, დედმამა არა ჰყავს, მამა ომში მოუკვდა. ეს დედამ გაიგო, ნაღვლით ისიც იმას ენაცვალა. ამ ორზე მტირალე მოხუცებულმა დაჰკარგა თვალის სინათლე; მხნეთ დარჩა მარტო დედაბერი, რომელიც არჩენს იმ ორს სულსა. აი ამათი გამაუბედურებულიც ამ საფლავებში წევს.

დღე მშვენიერი იყო. გრილოდა, ჰაერში ტრიალებდა შემოდგომის სუნი. ცაში არსად არა სჩანდა ღრუბელი. იყო სრული მყუდროება..

წინ გამეშალა ფართო მინდორი შემოზღუდული ღივანის ნაცრისფერი მთებით. ის მთები რაღაც მწუხრად გადმოიცქიროდნენ და ღრმად მოხუცებულ დედა-კაცსავით, რომელიც ახლად ვინმე ახალგაზდასთვის სასძლოს არჩევდეს, იღრიჯებოდნენ. არც მინდორი მომკილი ყანებით და ხშირი პურის ზვინებით კაცის გულს ასიამოვნებდა.

მომდევდა სამი ოსი, რომლებიც დარჩნენ რაღაც მიზეზით უკანა. მე დავრჩი მარტო. ამ ბუნების მწუხარე შეხედულებამ, მინდვრის სიჩუმემ და ამ საერთო საფლავების ნახვამ ღრმად ჩამაფიქრეს და გულზედ შავ-ტყვიასავით ნაღველი დამაწვა! წარმოვიდგინე ჩვენი ცხოვრება. რა არის ჩვენი სატანჯველით სავსე ცხოვრება?; რა მიზეზია, რომ ჩვენ ასე ვიტანჯებით? ჯერ კაცი არ დაბადებულა, რომელმაც სთქვას: ჰო, დიაღ, მე მადლელი და კმაყოფილი ვარ ჩემის ბედისა. ჩვენ ჩვენის ცხოვრების ყურ მოჭრილი კი არა კუდ მოჭრილი ყმა ვართ. ჩვენი მიბაძვით, ჩვენი გაუმაძღრობით, სიხარბით და თავის მოყვარეობით ვხდებით ცხოვრების მონა...

ამ მძიმე ფიქრებში კინაღამ წამეძინა

# საქართველო

## დღიური

*** როგორც ადრევე იყო გაზეთებში გამოცხადებული, გუშინწინ, 30 იანვარს, მთაწმინდის ეკლესიაში გადიხადეს პანაშვიდი ა. ს. გრიბოედოვისა. ამ პანაშვიდს, რომელიც თვითონ ეგზარხოსმა გადიხადა, დაესწრო უ. თფილისის ღუბერნატორი, თფილისის სასწავლებლების უფროსები და მოწაფეები და ზოგიერთი წარჩინებული პირები. გუშინწინვე საღამოს „თფილისის კრუჟოკში" და თეატრში იყო წარმოდგენა გრიბოედოვის კომედიისა „ვაი ჭკუისაგან". ბილეთები ამ წარმოდგენისა, თითქმის ერთის კვირით წინათ იყო დატაცებული ასე, რომ სტიპენდიას, რომელიც ამ წარმოდგენებიდამ შემოსულის ფულით უნდა დაარსდეს გრიბოედოვის სახელობაზე, საკმაო ფული შეუგროვდებოდა.

*** ჩვენ დაგვავიწყდა გასულ ნომერში მოგვეხსენებინა ხმოვანის სტ. ზ. ზარაფოვის წინადადება, რომელიც ქალაქის რჩევაში შეიტანა გავლილ ორშაბათს და რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ქალაქმა შესწიროს 1000 მანეთი გრიბოედოვის სახელობის სტიპენდიისათვის და ამას გარდა ერთს ქუჩას, რომელიც მთაწმინდისაკენ მიდის, დაარქვას სახელად „გრიბოედოვის ქუჩა". რჩევამ გადაწყვიტა, რომ ჩვენ არა გვაქვს უფლებაო, ქალაქის ფულიდამ ამგვარის საგნებისათვის რამე შევწიროთო, ქალაქის ხაზინა უამისოთაც ღარიბიაო და ამიტომ უარი გამოეცხადოს უფ. ზარაფოვსაო. რაიცა შეეხება მეორე წინადადებას, რომ ერთს მთაწმინდის ქუჩას გრიბოედოვის სახელი დაერქვას, ეს თხოვნა რჩევამ დიდის კმაყოფილებით აასრულა.

*** ჟამის გავრცელების ღონის-ძიებათა მიმღები კომისიის თავმჯდომარე დოქტორი მინკევიჩი აცხადებს, რომ უფ. თფილისის ღუბერნატორმა მიიღო ასტრახნის ღუბერნატორის ტელეგრამმა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ მთელი ასტრახნის გუბერნია შეკრულია კარანტინით და ყველამ, ვინც ამ გუბერნიიდამ გამოსვლას მოინდომებს, კარანტინში უნდა მოიცადოს რამდენიმე დღე და მხოლოთ როცა მოწმობას მიიღებს, მაშინ გამოუშვებენ ამ გუბერნიიდამაო.

*** „კავკაზში" დაბეჭდილია თელავიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს, რომ ამ ქალაქსაც კი უდღესასწაულებია გრიბოედოვის სახსოვარი: 30 იანვარს, თელავის საზოგადოება და იქაური სასწავლებლების შაგირდები ყოფილან გრიბოედოვის პანაშვიდზე და მერე გარდაუწყვეტიათ, რომ იმის სახელობით სტიპენდიისთვის ფულის მოგროვებაში მონაწილეობა მიიღონ.

*** ზემო-იმერეთიდამ გვატყობინებენ, რომ მდ. ყვირილის ხიდი, რომელიც დ. საჩხერეს აერთებდა რამდენიმე სოფელთან, სიძველის გამო, გაფუჭებულა და ამის წინათ საჩხერის ვაჭრებს და თავადებს შეუგროვებიათ რამდენიმე ფული ახალი ხიდის ასაშენებლად. გლეხებს კი მასალა მიუზიდნიათ და მუშაობაც უკისრნიათ. ახლა ეს ახალი ხიდი თითქმის სულ მზათ არის თურმე, მხოლოთ ოსტატებისა და რკინის ფული დაკლებიათ. სოფლები ეხვეწებიან თურმე აზნაურებს, რომ იმათაც მიიღონ მონაწილეობა და ცოტაოდენი შემწეობა მისცენ—მით უფრო, რომ უ-ამ-ხიდოთ იმათ ფეხის გადადგმაც არ შეუძლიანთ თავიანთ სოფლებიდამ; მაგრამ აზნაურები ყურსაც არ იბერტყენ, იძახიან—გლეხების მოვალეობა არისო!..

---

## წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო!

რამდენიმე ჩვენი ყმაწვილების თაოსნობით, თემირ-ხან-შურაში იყო შეკრებილი ხელის-მოწერით 700 მანეთამდის სასარგებლოთ კავკასიელი სტუდენტებისა. ამ რიცხვიდამ 355 მანეთი ოდესის უნივერსიტეტში გამოგზავნეს და დანარჩენი, როგორც ვიცი, პეტერბურღში.

ეს გარემოება და ამასთან სხვაც ბევრი საბუთები უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ჩვენი საზოგადოება თანაუგრძნობს განათლებას. რაღა თქმა უნდა, რომ ეს დიდი რამ სასიამოვნო მოვლენაა ჩვენთვის. სასიამოვნოა, რომ ჩვენი საზოგადოება ენერგიულათ გზას იკვალავს მიზანზე მისავალათ, ამზადებს სანაშვალებას თავის გასაუმჯობესებლათ...

კიდევ უფრო სასიამოვნო ის არის, რომ საზოგადოება მარტო თანაგრძნობით არ კმაყოფილდება; მისი თანაგრძნობა „ხმელა" თანაგრძნობათ, გ რ ძ ნ ო ბ ა თ და ს ი ტ ყ ვ ა თ—არ რჩება; ამ თანაგრძნობას ის ს ა ქ მ ი თ აცხადებს.

ამას მარტო მაღალ წრეზე, ესრეთწოდებულს განათლებულ საზოგადოებაზე, არ ვამბობთ. მა შეგვიძლიან დიდი სიამოვნებით ვსთქვათ მდაბიო ხალხზედაც, რომელიც ყოვლის ღონის-ძიებით ცდილობს, რომ უმეცრების სიბნელე მოიშოროს თავიდამ...

---

ცხენზე. მაგრამ ამ დროს ოსები მომეწივნენ და გადამარჩინეს ამ საცდურს.

—გამარჯობა თქვენა, ძმებო, სადაურები ხართ? ვკითხე ოსებს.

—ჩვენ ცხინვალელი ხარ, მიპასუხეს.

—კარგი, მაშ ყოჩაღათ უნდა წავიდეთ..

ცოტა ხანს შემდეგ კიდევ ამათ მიუბრუნდი:

—სიმღერა არ იცით, ძმებო, იმღერეთ; მაშინ უფრო კარგათ წავალთ, ისე რომ ვერცკი გავიგებთ მივდივართ, თუ-არა?

—არ იცი, სენი ჭირიმე; იცი, მაგრიმ ცოტა იცი.

—ლექსომ იცის ბევრი, მიპასუხა ერთმა, რომელიც ეტობოდა იმათში; უფროსი და გამოცდილი იყო.

—ნუღარ ინაზებით, კარგი, იმღერეთ!

დაიწყეს ახალი ოსური სიმღერა.

ისე მადით მღეროდნენ, რომ უეჭველად ეტყობოდათ, რომ თვითანაც ნდომებიათ სიმღერა, მაგრამ ჩემი ერიდებოდათ.

საამო სასმენი იყო ჩვენი კონცერტი. ერთბაშათ გამოვცოცხლდით, მინდორიც გავალვიძეთ და ის ფიქრები, რომელნიც სულს ამძიმებდნენ, გაფრინდნენ. ისე როგორც ცელქი ბავშვი გააფრენს შინაური მტრედების გუნდსა.

მივედით სოფ. ქ ვ ე ნ ა-ჯ ი ნ ჭ ა რ ა შ ი. ჯინჭარა არის პატარა სოფელი მტკვრის პირას. სოფლის გარედ პატარა ამოსიებულ ალაგას დგას პატარა ეკლესიის ოთხი კედელი, მაგრამ ეტყობა ძველ დროს არ ეკუთნის ეს ეკლესია. ზედა-ჯინჭარას რომ აივლით, გზა ეხვევა ერთს ფერდობას და აგაცილებს მტკვარს, რომელიც დარჩება მარჯვენაზე. ზედა-ჯინჭარაშიც არის დანგრეული ეკლესია. დარჩენილა მხოლოდ ერთი კედელი.

ბევრი არ გვივლია, შუა დღე მომაწია, ჩვენცნმიველით სოფ. ზ ი ნ დ ი ს-ბ ო მ შ ი. აქ ცხოვრობს ვილაც ბეგი. მოლლა შუა დღის ნამაზს ჰლაღადობდა. მოლლად პატარა ყმაწვილი იყო, თორმეტ-ცამეტი წლისა. სასიამოვნო სანახავი იყო ეს ახალგაზდა თეთრ ჩალმიანი მოლლა! იმისმა ანგელოზმა ხმამ და სახემ მაღლა ბანიდამ ისე მიგვიზიდა, რომ მე და ჩემი ოსები უნებურად გაგვაჩერა. სიხარბით უგდებდით ყურს, როგორ ის იძახდა:

„—ალლა, ჰექბერ! (ღმერთო შეგვიწყალე). ალლა, დუნია ქელამი ჰექბარ! (ღმერთო, ქვეყნის გამჩენო, შეგვიწყალე).

ზინდის-ბომი საკმაო მოზდილი სოფელია. სოფლის მარცხენა მხარეს (სამხრეთის) ფერდობაზე იწყობა ტყე, მაგრამ ნამდვილი ტყე არ არის, ნაჩიგვარი და ბუჩქებია.

გავიარეთ პატარა გაშლილი ზეილა და მოველით სოფ. შ ა დ რ ე ვ ა ნ ი. შადრევანიც დიდი სოფელია. დგას ფერდოზე. შენობები სულ ხისაა. ორ-სართულიანი სახლებიც ბევრია. ამბობენ, მდიდარი სოფელიაო. ზეიდამ დგას ძველი ეკლესიის ნაშთი; ოთხი კედლის შუაგული სადათ დარჩენილია. უჭირავს საკმაო ფართო ალაგი. ეტყობა დიდი ეკლესია ყოფილა. შადრევანის წინ ჩამომდინარეობს ნორჩი მტკვარი. მე მეგონა მტკვარს სამუდამოდ გავშორდი, მაგრამ, არა, აქაც მომძებნა. კი არ გეგონოსთ, რომ აქაც ისე მოდიდური ლომი მტკვარი იყოს, როგორც ქვეითა. ანპა, აქ სულ პატარაა! სხვამ რომ არ გითხრას: ეს მტკვარია, ვერც კი გაიგებთ, რომ მტკვარს ჰხედავთ. ის ხმოვანობა, ის მძაფრობა და მედიდურება, აქ იცვლება სიწყნარეზე. თურმე არც მტკვარი ყოფილა

არსად და არასოდეს ხალხი, საზოგადოება, არ ყოფილა აღჭურვილი ერთნაირი მიმართულებით, ერთნაირი ძალით და მონდომებით მიზანზე მისაწევნელათ —ამას დამტკიცება არ უნდა. Იაიც დიდი ღვთის წყალობაა, თუ ხალხმა იცნა მიზანი და ცდილობს მის შესრულებას. Ყოველგან და ყოველთვის რამოდენიმე ენერგიით სავსე პირებს უკისრნიათ ხალხის ხელმძღვანელობა, როდესაც კეთილი მიზანი ყოფილა ხალხის შუაგულში შეტანილი.

მადლობა ღმერთს, ჩვენ გვყავს ამისთანა ინიციატორები და ხელმძღვანელები და კიდევაც თან-და-თან გვემატება. Ამათი შემწეობით უნდა მოველოდეთ გაუმჯობესობას, მიზანზე მისვლას.. Ენერგიულათ ეკიდებიან საქმეს, მკერდით, როგორ იტყვიან, მიმდგარნი არიან... Ამას ვხედავთ სიტყვაშიც და საქმეშიც, ლიტერატურაშიც და სხვა მოქმედებაშიც

კავკასიელი

Ოდესსა, 23 იანვარს.

# ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲦᲐᲜᲘ

Ლონდონის გაზეთს „სტანდარში" დაბეჭდილია ავღანიდამ მიღებული შემდეგი დეპეშა:

„Ღენერალ რობერტსმა მოიხმო ავღანის მაზრის ხოსტის ადგილობრივი მცხოვრებლები და გამოუცხადა იმათ, რომ Ინგლისის ჯარები ჯერ კიდევ დიდ ხანს დარჩებიან Ავღანში წესიერების დასაცველად და ვინც ამ ჯარების წინაამდეგობას მოინდომებს, ვერაფერს მოიგებსო.

„რუსეთის მოხმარების იმედი ტყუილა ნუ გაქვთო, უთხრა ღენ. რობერტსმა ამ ხალხს; რუსეთი ახლა ღარიბია ფულითა და მეომარი ხალხითაო."

— Ავღანის ქალაქიდამ Ჯალალაბადიდამ იწერებიან 21 იანვარს გაზეთს „Ტაიმსში":

„Ავღანში ამ ჟამად ხალხი ისეთნაირად აღელვებულია, რომ Იაკუბ-ხანი იძულებული შეიქნა ზარბაზნები დაეშინა კაბულის ერთის უბნისათვის, სადაც ეს აჯანყებული ხალხი მოგროვილი იყო. Კაბულში ამ ჟამად ნახევარი მცხოვრებლები აღარ დარჩა; ვისაც ცოტა რამ შეძლება ჰქონდა, თავის ცოლ-შვილით და ქონებით წავიდნენ ამ ქალაქიდამ."

## ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

Მუხთარ-ფაშა, რომელიც Ოსმალეთის მხრით არის საბერძნეთში გაგზავნილი სამზღვრების შესასწორებელად, ამ დღეებში შეუდგება ამ საქმეს საბარძნეთის კომისარებთან ერთად. Გაზეთები იმედს აცხადებენ, რომ საბერძნეთსა და Ოსმალეთს შუა არავითარი უკმაყოფილება არ მოხდებაო, ორივე მხარე ცდილობსო ბერლინის ტრაქტატის შესრულებასაო.

—სტამბოლის გაზეთი „Ვაკითი" გვაცნობებს, Ინგლისი იმ პირობით არის თანახმაო, რომ Ოსმალეთს სასესხებელი ფული უშოვნოსო, თუ ხონთქარი თავის ფინანსის მინისტრად Ინგლისელს დაიყენებსო.

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

Ფრანცუზულს გაზეთებში დაბეჭდილია მაკ-მაჰონის შემდეგი წიგნი, რომელიც იმას მიუწერია ნაციონალურ კრებისა და სენატის თავმჯდომარეებისათვის იმ დროს, როდესაც იმან მიატოვა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა:

„Უფ. პრეზიდენტო!

„Ამ სესსიის გახსნის დროს სამინისტრომ წარმომიდგინა მე დასამტკიცებელად ისეთი კანონების პროექტები, რომელნიც, როგორც ეტყობოდა, საჭირო იყო საზოგადო მოთხოვნილებისა და პალატის უმრავლესობის დასაკმაყოფილებელად.

„Მე უარ ვყავი ჩემი პირადი აზრი და ნება დავრთევი ამ კანონებზე, რადგან ჩემი სინიდისი ამ შემთხვევაში არ მამხილებდა.

„Ახლა სამინისტრომ, აგრეთვე ორივე პალატის (ნაციონალურ კრებისა და სენატის) მოთხოვნილებით, წარმომიდგინა მე ხელ-მოსაწერად დეკრეტი ჯარის უფროსების გამოსაცვლელად; ეს მე მიმაჩნია როგორც არმიისათვის, აგრეთვე მთელი ჩვენი მხრისათვის მავნებელად.

„Მე ვერ დავთანხმდები ამაზედ. Ამის გამო სამინისტრო აპირებს თავის თანამდებობის მიტოვებას.

„Ყველა სხვა სამინისტრო, რომელიც პალატების უმრავლესობისაგან უნდა იქმნეს არჩეული, უეჭველია, ამავე დეკრეტის ხელის-მოწერას მოითხოვს ჩემგან.

„Ამის გამო მე ჩემ თავს ვალდებულად ვრაცხ შევამოკლო ჩემდამი ნაციონალურ კრებისაგან მონიჭებული უფლების ვადა: მე ვანებებ თავს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას.

„როცა სამსახურს ვტოვებ, მე მანუგეშებს ის აზრი, რომ იმ ორმოც-დაცამეტის წლის განმავლობაში, რომელიც მე ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას, როგორც სალდათი და როგორც მოქალაქე, მე ხელვმძღვანელობდი მხოლოდ იმ აზრით, რომ ჩემი მოვალეობა პატიოსნად და კანონიერად შემესრულებანა.

დაბადებით ღონიერი და მძლავრი; თურმე იმისი ღონეც დგება სხვა სუსტი ღონეებისაგან!.. Ის სუსტი ღონები, შეერთებული ერთ ღონეთ, იქცევა მძლავრ და დაუმარცხებელ ღონეთ..... Აქ სათავეზე ისე სუსტია, რომ საიდაც ისურვებთ, იქით წაიყვანთ; აბა კაცი ხართ ბოლოში წინაალუდგეთ!..

Მივედით Ქ ი ნ ძ ა - Თ ა მ ა რ ა შ ი. Დგას მთის ძირში, ღელეს პირზე. Აქ ტყე უფრო ხშირდება. Ჩვენი გზა ამ სოფელს ასცილდებოდა, მაგრამ ცხენები ისე დაიღალნენ, რომ მოსვენება ეჭირებოდა, მისთვის შევიარეთ სოფელში.

Ქინძა-Თამარაში ცხოვრობენ ქურთები და ჩვენებური Თათრები. Ჩემ კითხვაზე, თუ როგორ იოლათ მიდიან ისინი ქურთებთან, მიპასუხა ერთმა თათარმა:

— Ეჰ, კარგათ მივდივართ იოლათ; მაგრამ ახლო მოყვრობა ჩვენი იშვიათია, —ქალის მითხოვება და სხვა მოყვრობა ჩვენ შორის არ არის.

— Რათა, ერთი რჯულისანი არა ხართ? ვკითხე.

— Მართალია, ერთი სჯულისანი ვართ, მაგრამ ისინი უწმინდურები არიან, დედაკაცებს უადგილო თავისუფლობას აძლევენ. Იაინი უცხო მამა-კაცებს არ ერიდებიან და იმიტომ.

Ცხენებმა მოისვენეს. Დავადეგით გზასა.

Ამ სოფლიდამ იწყობა Ი ა ლ ა ნ უ ს - ჩ ა მ ი ს (ობოლი ხის) აღმართი. Აღმართის ძირში რომ მიველით, გამოჩნდა ღელეში ძველი ციხე მაღალ კლდეზე. Იმ ციხის ქვეიდამ ვიწრო ხევიდამ გამოჩუხს ახალგაზდა მტკვარი. Აქედამ საუკუნოდ არა, მაგრამ დროებით მაინც გამოვემშვიდობე მტკვარს. Ვიხმარე უკანასკნელი ღონის-ძიება, რომ ეს აღმართი გამევლო დღის სითბოში, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხეთ ვერ ავცდი მთის სუსხს.

Აღმართის ნახევრიდამ გამოჩნდა მარცხენა მხარეს ღელეში სოფელი გვერდით ეკკლესიის ნაშთი. Მომავალ ახალგაზდა თათარს ვკითხე: რა სოფელია ისა? Ტიკაშენაო, მიპასუხა. Უნდა იყოს Დ ი კ ა შ ე ნ ი. Აღმართმა საქმე გაგვიძნელა. Რამდენიც მაღლა ავდიოდით, იმდენი სუსხი ძრიელდებოდა. Აქ კაცი აღმართს ვერ იგრძნობს, სულ ვაკეთ ჰგონია, მიდის გზა, მაგრამ ნელ-ნელა ეპარება დიდი აღმართი. Აივლი პატარა სერს, გამოჩნდება მეორე; ჰგონია ეს-ეს არის გათავდა. Იჰასაც აივლი, წინ აიყუდება სხვა სერი...

Შევგხვდნენ ერთი გროვა თათრები ბარ-ნიჩბებით, ხელები უბეში ჩაწყობილნი. Იაინი მოდიოდნენ გზის კეთებიდამ,—Არტაანიდამ Არდანუჯამდე კეთდება ახალი გზა.

— Რამდენს იღებთ დღეში? ვკითხე თათრებს.

— Ონდორთ ყურუშს (თოთხმეტს შაურს), მიპასუხეს და მკითხეს, მთავრობიდამ რამდენი გამოდისო. Ეტყობოდა ეჭვში იყვნენ—ბევრი გამოდის, ცოტას აძლევენ.

Ტყე უკან დაგვრჩა. Წინ წარმოგვიდგა ტიტველა მთები და მინდორი. Შორით იჭყიტებოდნენ მაღალი ჭალარა მთები. Სიცივე საგრძნობელი გახდა. Აღმართი გათავდა, ამ ალაგას დგას ერთი ხე ობლათ, რომლის მიზეზით არის დასახელებული ეს აღმართი „Ი ა ლ ა ნ უ ს - ჩ ა მ ა თ". Წინ მოგვეგება ლამაზი თოვლის მინდორი, რომლის ბოლოს ცა ერთდება დედამიწასთან.

ს. Ბავრელი

Არდანუჯი, 10 დეკემბერს.

(Გაგრძელება)

„გთხოვთ, უფ. თავმჯდომარე, ეს ჩემი წერილი პალატას აცნობოთ.

მარშალი მაკ-მაჰონი, მაჯენტის გერცოგი.

# განცხადებანი

„თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გამგებლის კომიტეტისაგან.

1. შკოლა საზოგადოებისა გაიხსნება მომავალ თებერვლის ექვსსა. შუადღისას პარაკლისი იქმნება გადახდილი შკოლის სადგომში, რომელიც იმყოფება კუკიაში აგურის ქუჩაზედ, აბჭალის ქუჩის ზემოთ, თაქთაქიშვილის სახლებში.

სწავლა დაიწყობა თორმეტი თებერვლიდგან, ხოლო მიღება ბავშვებისა პანსიონში იწყება შკოლის გახსნის დღიდგან.

2. საზოგადოების სრული პანსიონერების ათი ვაკანსიიდგან შვიდი ადგილი წილის-ყრით ერგო იმ ღარიბ ბავშვებს, რომელნიც არიან 7—8 წლისა და ოთხი თვისა.

სამი ვაკანსია დარჩენილია იმ ბავშვებისათვის, რომელთაც ამ ხანზედ მომეტებული წლოვანობა აქვთ. მათ წილი ერგებათ გამოცდის შემდეგ, რომელმაც უნდა ამოარჩინოს, ვინ არიან მათგანი იმდენათ მომზადებულნი, რომ შკოლის უფროს განყოფილებაებში შეეძლოთ სწავლა და თავის დროზედ კურსის შესრულება. ეს წლოვანი ბავშვები, რომელთ მიღება საზოგადოების ხარჯზედ ითხოვეს მათმა ნათესავებმა, უნდა მოყვანილ იქმნენ შკოლაში უთუოთ ათ თებერვლამდის.

3. ხუთი ადგილი, დანიშნული ნახევარ პანსიონერებისათვის, რომელნიც ვალდებულნი არიან შემოიტანონ თავის შესანახავად მარტო ნახევარ ფასი—ათი თუმანი წელიწადში—ამ ჟამათ სრულიად დაჭერილნი არიან წილის-ყრითა.

4. იმ თხუთმეტი ადგილიდგან, რომელნიც საზოგადოებამ დანიშნა სრული პანსიონერებისთვის მათი ხარჯით და რომელთათვის გაამწესა შემოსატან ფულათ ოცი თუმანი წელიწადში, ამ ჟამათ დაჭერილია მხოლოდ ათი, და ხუთი კი ჯერ ისევ თავისუფალია მსურველთათვის. (3—2)

---

რუსის ჩაის ვაჭრობისაგან

ახლად მიღებულია საუკეთესო **ფუჩუანის ჩაი** 10,000 გირვანქა.

ფასი გირვანქა ჩაისა 1 მან. და 20 კაპეიკიდამ 8 მანეთამდის. მე მივიღე ჩემი მუშტრებისაგან ფუჩუანის ჩაისთვის ბევრი მადლობა წერილით. იმედი მაქვს, რომ მომავალი ჩემი მუშტრები კიდევ უფრო კმაყოფილი დარჩებიან.

შეიძლება გირვანქობით ყიდვა და ნარდათაც. მაღაზია კისრულობს თავის ხარჯით გაგზავნოს ფოჩტითა.

ადრესსი მაღაზიისა: მიხაილოვის ხიდი, მირზოევის სახლი, „კავკაზის“ რედაქციის ქვემოთ.

ვაჭარი ა. პოლოსუხინი.

(5—1)

---

ერთ პირს, რომელსაც შეუსრულებია სწავლა **პეტერბურღის პედაგოგიურ კურსებში** (თეორეტიული და პრაქტიკული), ჰსურს აძლიოს **გაკვეთილები** (უროკები) **გიმნაზიის კურსის ყველა საგნებიდამ და ახალი ენებისა.** შინაურ მასწავლებელის ეგზემენიისათვის ამზადებს.

ვისაც ამ პირის ადრესის შეტყობა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს უფ. ვ. შავერდოვის საგენტოში (გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის შენობაში, „სულთანის“ თამბაქოს მაღაზიაში.)

(3—2)

---

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

იყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარეშე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

---

# გასყიდვა

ფას-მოუკლებელად

რადგან წვრილად ვაჭრობა მოვსპეთ და ერთად, ნარდათ ვაჭრობა დავიწყეთ, ამის გამო დანიშნულია **გაყიდვა** იაფასად მანეთზე 25 კაპეიკის დაკლებით სხვა და სხვა საქონლისა: კრეპი, არდაგანი, მატლასე, რეპსი, ფაი, ყარსი, კრეასე, კაშმირი შალი—75 კაპეიკიდამ 2 მან. 30 კაპ. შალი ალპაგა—35-75 კაპეიკამდის, მაუდის შალები—3 მან. და 25 კაპ. 7 მან. 37 კაპეიკამდის, ხავერდის ხალიჩები, პერანგები ტილოსი და სხვ. და სხვ.

თამამშოვის ქარვასლაში, ზემო ეტაჟაში, გასტინიცის, „კავკაზის“ პირ-და-პირ, №№ 10 და 11.

მაღაზია მალაკოვისა

---

ლექსები

# „სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტავას დუქანში.

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კოპეიკათ.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამ. | | 3 | 96 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისის და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 30 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 70 |
| ფქვილი წითელი | 1 | 60 |
| ქერი ფუთი | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი | 4 | 40 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი | 5 | 70 |
| ქონის სანთელი ფუთი | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| — ცხვრისა, ლიტრა | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო | 4 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 60 |
| — ფხვნილი ფუთი | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 70 |
| თამბაქო, ხაშური ფთ. | 6 | 80 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 31 Генваря 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.